

გრეტა ბერაია და ნოდარ ზვიადაური თითქმის ყოველ შეჯიბრებაში აუმჯობესებენ შედეგებს. მათ ჩვენი ქვეყნის საშუალო და უფროსი ასაკის ახალგაზრდების საგაზაფხულო ტურნირშიც (სოჭი) კარგად იასპარეზეს: ბერაიამ ბადროს ტყორცნაში III ადგილი მოიპოვა (41,62 მ), ზვიადაურმა კი შუბის ტყორცნაში პირველობა მოიგო და მოსწავლეთა ახალი რესპუბლიკური რეკორდიც დამყარა — 68,12 მ.

სურათებზე, რომლებიც მ. ზარგარიანმა „დინამოს“ სტადიონზე საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა მორიგი წვრთნისას გადაიღო, სწორედ საკავშირო ტურნირის პრიზიორებია აღბეჭდილი: მარცხნივ — გ. ბერაია, მარჯვნივ — ნ. ზვიადაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 74 (3558)

16

1968 წ. აპრილი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ვარდო ქუთათელაძის ორი გამარჯვება

სოჩი, 14 აპრილი (ტელეფონით). საკავშირო პროფსაბჭოს სპორტსაზოგადოებების მძლეოსანთა შეჯიბრებაში ორი გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა სპრინტერმა ვარდო ქუთათელაძემ („ლოკომოტივი“). წინა დღით მან მოიგო 100 მეტრზე რბენა (12,1), ხოლო დღეს 200 მეტრზე რბენის ფინიშთანაც პირველი მიიკრა — 25,1.

საპროტესტო მოძრაობა ფართოვდება

ნიუ-იორკი, 13 აპრილი. ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენთა შორის სულ უფრო ფართოვდება საპროტესტო მოძრაობა მექსიკის ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაწილეობის გამო. სულ უფრო მეტი მომხრე ჰყავს ოლიმპიადის ბოიკოტს, რომელიც შარშან შემოდგომით გამოაცხადეს ზანგმა ათლეტებმა.

აფრიკის ამერიკულმა კომიტეტმა, რომელიც მხარს უჭერს რასიზმის მსხვერპლთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, აქ პრეს-კონფერენცია ჩაატარა ცნობილი სპორტსმენების მონაწილეობით. ამერიკელი ბეისბოლისტი ჯ. ბოუტონი და კალათბურთელი ჰ. დოტსონი, განელი მძლეოსანი კ. ოხენე-ფრემპონგო, სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი ს. მოკოუნი ერთხმად გამოვიდნენ ოლიმპიურ თამაშებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მონაწილეობის თაობაზე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მათ მხარი დაუჭირეს ზანგი სპორტსმენების ბოიკოტს.

მოკოუნი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლახან ჩამოვიდა კეიპტაუნიდან, ჰყვება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამეფებული რასობრივი დისკრიმინაციის ამბავს. აფრიკელ სპორტსმენებს, — ამბობს იგი, — მთავრობა იზოლაციას უწყობს და რაიმე განცხადებით გამოსვლის უფლებას არ აძლევს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაჭერა და საპყრობილე არ ასცდებათ. იმ აფრიკელთა უმეტესობა, რომლებიც შეიძლება ოლიმპიურ გუნდში შეიყვანონ, აპარტეიდის წინააღმდეგია, მაგრამ ისინი დაშინებული არიან მოსალოდნელი ანგარიშის გასწორებით.

ამ ხიტყვების დასტურად მოკოუნმა კორესპონდენტებს თავისი მეგობარი სპორტსმენების წერილები უჩვენა. ერთ-ერთ წერილში ნათქვამია: „დღევანდელი მდგომარეობა მეტისმეტად მძიმეა და იგი შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს. თეორკანიანი ლიბერალებიც კი დუმილს არჩევენ, ვერ ბედავენ რისკის გაწევას 90-დღიანი პატიმრობის შიშით“ (ეგრეთ წოდებული 90-დღიანი პატიმრობის კანონი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალთ აძლევს უფლებას სხვადასხვა რასის წარმომადგენლები დაუყოვნებლივ ციხეში ჩაგდონ მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ყოველი საჯარო განცხადებისთვის).

პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, რომ ზანგი სპორტსმენების ბოიკოტს შეუერთდა კიდევ 64 ათლეტი — ზანგიცა და თეთრკანიანიც. მათ შორის არიან პროფესიონალი და მოყვარული სპორტსმენები. ბოიკოტს მხარს უჭერენ ცნობილი კალათბურთელი უ. ჩემბერლენი, ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკელი ჩოგბურთელი ა. ეში, აშშ-ს საუკეთესო სპრინტერები, ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები ლ. ევანი და ჯ. კარლოსი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების წინააღმდეგ გამოდიან ოლიმპიელები: ჰ. დილი, ე. ფიტჩი, ჯ. გლაზერი, ს. ნოტი, ბ. მეტლერი, დ. ლაიონსი, ე. ტოუნსენდი (ყველანი თეთრკანიანები არიან).

რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო მოძრაობას მხარს უჭერს აფრიკის ამერიკული კომიტეტიც. ამ გავლენიანი საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეროვნულ კომიტეტში შედიან სენატორი ი. მაკარტი, სენატორი უ. მორზე, ზანგი მსახიობი ს. პუატიე, წარსულში ცნობილი ბეისბოლისტი ჯ. რობინსონი. ამ კომიტეტში შედიოდა რასისტების ხელით მოკლული მარტინ ლუთერ კინგიც. (საკდესი).

• • •

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის საგანგებო სხდომას, რომელიც 20-21 აპრილს უნდა ჩატარდეს ლოზანაში, სულ უფრო მეტი სახელმწიფო მიმართავს მოთხოვნით, რომ ოლიმპიურ თამაშებში რასისტები არ დაუშვან. როგორც საკდესის კორესპონდენტი კატმანდუდან იუწყება, 13 აპრილს ნეპალის ოლიმპიურმა კომიტეტმა და ამ ქვეყნის სპორტის ეროვნულმა საბჭომ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მოუწოდეს გადასინჯოს თავისი უკანონო გადაწყვეტილება.

ორივე ორგანიზაციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუდამ წინააღმდეგი იყვნენ რასისტული პოლიტიკისა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ატარებს.

ერთობლივ განცხადებას ხელი მოაწერა ნეპალის სპორტის ეროვნული საბჭის თავმჯდომარემ პრინცმა ბასუნდხარამ, ხელმწიფე მახენდრას უმცროსმა ძმამ.

სუკანასკნელი საათი...

თბილისის „დინამომ“ მოუგო ცსკა-ს

მოსკოვი, 15 აპრილი. **თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში დღეს აქ დაამარცხა ცსკა — 68:60 (30:30).**

- **სვერდლოვსკელი ქალიშვილის გასრი რაპირა**
- **საბჭოთა კალათბურთელები უცხოეთში**
- **მექსიკელთა საპატიო სტუმრები**
- **ეუსებიოს 4 გოლი**

ლონდონი, 15 აპრილი. იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია სვერდლოვსკელმა ნატაშა კოზლენკომ. მან ხუთივე ფინალური ორთაბრძოლა მოიგო და საუკეთესოს სახელიც მოიხვეჭა. პირველ ექვსეულში კიდევ ორი საბჭოთა მოფარიკავე შევიდა: ეორონეველმა ნ. ანტროპოვამ IV ადგილი დაიკავა, ხოლო მოსკოველმა ტ. კანურკინამ — V. მათ 2-2 მოგება და 3-3 წაგება აქვთ.

ანტიბი, 15 აპრილი. საფრანგეთის ამ პატარა ქალაქში გაიხსნა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების სტარტზე წარმატებას მიაღწია მოსკოვის გუნდმა, რომელიც, ფაქტიურად, სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთი ვარიანტია. სტუმრებმა ჯერ ადგილობრივი „ოლიმპიკი“ დაამარცხეს (97:77), შემდეგ კი ცნობილი იტალიური კლუბი „იგნისი“ — 90:59. ტურნირში მონაწილეობს, აგრეთვე, ვარშავის ნაკრები.

დამასკო, 15 აპრილი. სირიაში სტუმრად მყოფმა მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად აქ დაამარცხა დედაქალაქის „ფუტიანი“ — 93:45.

მეხიკო, 15 აპრილი. **XIX ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ამ შეჯიბრებებზე საპატიო სტუმრებად მიიწვიეს მეთაურები 114 სახელმწიფოსი, რომლებთანაც მექსიკას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს.**

ლისაბონი, 15 აპრილი. კვლავ მაღალ შედეგიანობას გვიჩვენებს მსოფლიოს **VIII** *საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი, პორტუგალიელი ეუსებიო: თავისი ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ მატჩში „बენფიკას“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა მეტოქის კარში 4 ბურთი გაიტანა. ახლა „შავი პანტერის“ ანგარიშზეა 34 გოლი 22 მატჩში.*

სოხუმი. მშვილდოსნობა სულ უფრო პოპულარული ხდება. განსაკუთრებით დიდ წარმატებას აღწევენ დინამოელები. ამ საზოგადოების წარმომადგენლები აფხაზეთის დედაქალაქში ოთხ დღეს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს საკავშირო ასპარეზობის საგზურების მოპოვებისთვის, რომელიც 20-24 აპრილს ქალაქ ბორისლავში გაიმართება.

ქალებში „დინამოს“ ჩემპიონობა დაისაკუთრა უფროროდელმა სპორტის ოსტატმა ა. ზავადიაკმა. ვაჟებში ყველას აჯობა საერთაშორისო კლასის ოსტატმა, სსრ კავშირის ოთხგზის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, გაენეფო-ს აზიურ თამაშებში გამარჯვებულმა ვ. სიდორუკმა (ლვოვი).

სურათზე: „დინამოს“ ჩემპიონი ვ. სიდორუკი.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა (საკდესი).

საჭადრაკო მერიდიანებზე

ლარსენმა კვლავ მოიგო

მონტე-კარლო, 15 აპრილი. საერთაშორისო ტურნირის **X** ტურში კვლავ წარმატებით ითამაშა ბ. ლარსენმა. 31 სვლაში მან მოუგო ჟ.-კ. ლეტსელტერს (საფრანგეთი). ვ. სმისლოვმა 38-ე სვლაზე დამარცხა ნ. პადევსკი (ბულგარეთი), ხოლო მ. ბოტვინიკმა ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ გადადო პარტია ფ. გეორგიუსთან (რუმინეთი). ამერიკელი რ. ბირნი დამარცხდა ლ. პორტიშთან (უნგრეთი), ს. ციხუერი (საფრანგეთი) — ვ. ჰორტთან (ჩეხოსლოვაკია).

XI ტურში ლარსენმა გადადო პარტია მ. დამიანოვიჩთან (იუგოსლავია). ბოტვინიკმა ყაიმით დამთავრა შეხვედრა ვ. ულმანთან (გდრ) და დაუზვდა გეორგიუს წინადღით გადადებულ პარტიაში.

11 ტურის შემდეგ ლარსენს 8 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ბოტვინიკს — 7,5, ჰორტს —7, სმისლოვს — 6,5 (1), გეორგიუს — 6,5.

ლიდერობს პეტროსიანი

ბამბერი, 15 აპრილი. ადგილობრივი საჭადრაკო კლუბის დაარსების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში დაწინაურდა მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი. 3 ტურის შემდეგ მას 2,5 ქულა აქვს. 2-2 ქულა მოაგროვეს დიდოსტატებმა მ. ბობოცოვმა (ბულგარეთი) და ბ. ივკოვმა (იუგოსლავია).

ანგარიში გახდა 4,5:1,5

სოხუმი, 15 აპრილი. გელერ—სპასკის ორთაბრძოლის **VI** პარტიაში გელერმა შავებით კვლავ ვარიფერი გაიწყო სპასკის იერიშის წინააღმდეგ. მან მესამედ წააგო და პრეტენდენტთა ამ მატჩის ბედი ალბათ გადაწყვეტილია: ანგარიში გახდა 4,5:1,5 სპასკის სასარგებლოდ.

საუკეთესოა წლეულს

22 წლის ავსტრალიელი ბოიხი 221 სმ სიმაღლეზე გადახტა. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში და მეოთხეა ამ სახეობის ისტორიაში. დღემდე 220 სანტიმეტრსა და უკეთეს შედეგს მიაღწიეს: ბრუმელმა — 228 (1963 წ.), ნი ჩიჩინმა (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) — 227 (1967), თომასმა (აშშ)—223 (1960), სკოლრცოვმა — 221 (1966), ჯონსონმა (აშშ) — 221 (1967), სნიზუელმა (ავსტრალია)—220 (1963), ჩერნიკმა (პოლონეთი) — 220 (1964).

ეროვნული ბიბლიოთეკა





პირველიდან მესამეზე

მოსკოვში დამთავრდა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს მოცურავეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი (1952-55 წლებში დაბადებულთა შორის), რომელიც ლენინური კომკავშირის 50 და „შრომითი რეზერვების“ 25 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ბელორუსიის, საქართველოს, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ლატვიისა და რსფსრ-ს გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ამ ტურნირში თავი ვერ გამოიჩინეს: ჭაბუკებმა შარშან მოპოვებული თასი რსფსრ-ს გუნდს დაუთმეს და ამჯერად III ადგილს დასჯერდნენ (II იყო მოსკოვის გუნდი), გოგონებმა კი 13 ქულა ძლივს მოაგროვეს და სატურნირო ცხრილს ბოლოში მოექცნენ.

უმცროსი ასაკის ჭაბუკებში ყველას აჯობა ვ. გრიგორაშენკომ (საქართველო), რომელმაც მოიგო 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა (27,3 და 1.01,2), ხოლო 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში III ადგილი დაიკავა — 2.40,3. 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჩემპიონობა დაისაკუთრა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ჯ. ჩაბაკაურმა — 30,7. ჯ. ჩაბაკაურმა, თ. წყაროველმა, ვ. ონუფრიენკომ და ზ. ხურცილავამ საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი დამყარეს კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — 4.31,3. ამასთან, მათ II ადგილი დაიკავეს მოსკოველთა შემდეგ.

III საპრიზო ადგილები დაიკავეს, აგრეთვე, 50 მეტრზე ბატერფლაით და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ვ. ონუფრიენკომ (შესაბამისად — 30,2 და 4.45,3) და 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ვ. სიროტინმა — 1.14,4.

III ადგილზე გავიდნენ: 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (უფროსი ასაკი) ზ. ხურცილავა (შესაბამისად — 25,5 და 1.00,1); ამავე სტილით 400 მეტრზე შეჯიბრებაში — ა. იორდანიშვილი — 5.16,5, 50 მეტრზე ბრასით ცურვაში თ. წყაროველი — 34,7.

ა. ბურასაშვილი.

* * *



სურათზე: ვ. გრიგორაშენკო ასპარეზობის დროს.

ფოტო ავტორისა.

ხელბურთი

დღეს მინსკში

იწყება ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის I წრის დასკვნითი ტური. სწორედ აქ უნდა გაირკვეს, 12 გუნდიდან რომელი 8 კოლექტივი გააგრძელებს შემდგომ ეტაპზე თამაშს: I-VIII ადგილებზე გასულნი ამ შემოდგომით ორ წრედ (I წრე — 7-15 სექტემბერს, II წრე — 2-10 ოქტომბერს) გაითამაშებენ პირველობას. თუ ცხრილს გადავხედავთ, თბილისის „ბურევესტნიკს“ ამჯერად ძალიან მოკრძალებული, VII ადგილი უჭირავს. მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ქულათა რაოდენობით ჩვენები IV-VII ადგილებს იყოფენ რიგის „დაუგავასთან“, ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ და კაუნასის „ჟალგირისთან“. ასე რომ, მინსკში შეიძლება საჭმე წყდეს დატრიალდეს...

გათამაშების ცხრილში I წრის დასკვნითი ტურის წინ ასეთი სურათია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
მოსკოვის საავიაციო ინსტ.	5	5	0	0	107—77	10
„კუნცევო“ (მოსკოვი)	5	3	1	1	81—69	7
ასკ (კიევი)	5	3	1	1	70—77	7
„დაუგავა“ (რიგა)	5	3	0	2	100—89	6
„ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე)	5	3	0	2	101—94	6
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	5	3	0	2	110—104	6
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	5	3	0	2	86—82	6
„ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი)	5	2	0	3	80—76	4
„ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი)	5	2	0	3	101—104	4
ასკ (ლვოვი)	5	1	0	4	85—99	2
„პოლიტექნიკი“ (მინსკი)	5	1	0	4	93—118	2
ასკ (ბაქო)	5	0	0	5	62—87	0

საქართველოს რეკორდები

ხასტენდო სროლა

1968 წლის 15 აპრილისთვის

სახეობა	შედეგი	რეკორდსმენი		დამყარების ადგილი, დრო	
		ვაჟები			
ადგილიდან სროლა					
200 სამიზნეზე	198	კ. დარასელია (სოხუმი, „განთ.“)	მოსკოვი	1. 8. 67	
300 სამიზნეზე	297	კ. დარასელია (სოხუმი, „განთ.“)	მოსკოვი	3. 8. 67	
400 სამიზნეზე	390	საქართველოს ნაკრები	მოსკოვი	1. 8. 67	
800 სამიზნეზე	774	საქართველოს ნაკრები	მოსკოვი	2. 8. 67	
მრგვალი სტენდი					
100 სამიზნეზე	99	ტ. ჟღენტი (თბ. მონკავშირი)	თბილისი	12. 3. 67	
200 სამიზნეზე	196	ტ. ჟღენტი (თბ. მონკავშირი)	თბილისი	14. 6. 67	
400 სამიზნეზე	376	თბილისის ნაკრები	თბილისი	10. 3. 68	
დუბლეტი					
50 სამიზნეზე	30*	—		—	
მისვლით					
100 სამიზნეზე	90*	—		—	
		ქალები			
ადგილიდან სროლა					
100 სამიზნეზე	93*	—		—	
300 სამიზნეზე	255*	—		—	
დუბლეტი					
25 სამიზნეზე	15*	—		—	
მისვლით					
50 სამიზნეზე	40*	—		—	
მრგვალი სტენდი					
100 სამიზნეზე	92*	—		—	
300 სამიზნეზე	240*	—		—	
		ჭაბუკები			
ადგილიდან სროლა					
100 სამიზნეზე	93	ა. ბუკია (თბ. მონკავშირი)	თბილისი	12. 3. 67	
400 სამიზნეზე	328*	—		—	
მრგვალი სტენდი					
100 სამიზნეზე	96	ა. დიუჯუკი (თბილისი, ახკ)	თბილისი	15. 10. 67	
400 სამიზნეზე	380*	—		—	

* — საწყისი ნორმატივი.

უნივერსიტეტი და „დინამო“ — უძლიერესნი

დამთავრდა თბილისის პირველობა ხელბურთში. შეჯიბრება შერჩევითიც იყო: I-II ადგილებზე გასულ გუნდებს რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ. წრიული სისტემით გამართულ ტურნირში მონაწილეობდა ქალთა 5 და ვაჟთა 8 გუნდი.

ქალებში უძლიერესის სახელი მოიპოვა უნივერსიტეტის გუნდმა (მწვრთნელი ჯ. აბშილავა), რომელმაც დაამარცხა უცხო ენათა ინსტიტუტის (22:5), ქალაქის განათლების განყოფილების (17:12), პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის (7:6) ხელბურთელები, ხოლო „განთიადთან“ ფრედ ითამაშა — 11:11. II ადგილი წილად ხვდა „განთიადს“ (მწვრთნელი ვ. არაქელოვი), რომელმაც ფრედ დაამთავრა მატჩები უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდებთან (ორივეჯერ — 11:11), მოუგო თბილისის განათლების განყოფილებისა (12:5) და უცხო ენათა ინსტიტუტის (30:13) ხელბურთელებს. III ადგილზე გავიდა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი (მწვრთნელი ა. ბათმანოვი).

ვაჟთა გუნდების ტურნირი დაუმარცხებლად განვლო „დინამომ“ (მწვრთნელი თ. ანთაძე). დინამოელებმა მოუგეს ყველა მონაწილეს: ფიზკულტურის (32:19), სასოფლო-სამეურნეო (24:11), პუშკინის სახელობის პედაგოგიური (26:18), პოლიტექნიკური (33:17) ინსტიტუტების გუნდებს, „განთიადს“ (16:5), უნივერსიტეტისა (35:22) და განათლების განყოფილების (26:8) ხელბურთელებს. II ადგილზე გავიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი), ხოლო III — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი (მწვრთნელი კ. ვოლკოვი).

22 აპრილს ფოთში დაიწყება საქართველოს პირველობა.

თ. ციცაკი.



მაიაკოვსკი

ჩატარდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობა მძღოლურ კროსში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მაიაკოვსკის, ფერსათის, წითელხევის, ობჩისა და სხვა სპორტსმენებმა. I ადგილი დაიკავა წითელხევის გუნდმა, II ადგილზე გავიდნენ მაიაკოვსკელები, III — ობჩელები.

ტ. ხაზარაძე.

ზესტაფონი

„კოლმეურნის“ რაისაბჭოს გუნდურ პირველობაში 14 სოფლის მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ. უძლიერესი აღმოჩნდა მეორე სვირის ნაკრები. II ადგილზე გავიდნენ ზოვრეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის, III — არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლები. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა სამახსოვრო თასი და პირველი ხარისხის დიპლომი.

ა. განუგრავა.



1. 40 წლის ავსტრალიელი ბილ ჰოუელი ემზადება ატლანტის ოკეანეში ხანგრძლივი მოგზაურობისთვის. ჰოუელი გზას დაადგება საკუთარი კონსტრუქციის კატამარანით, რომელსაც პოეტური სახელი — „ოქროს მამალი“ დაარქვა. ახლა კატამარანი კუნძულ უაიტის ბემბრიჯის ნავსადგურში დგას (დიდი ბრიტანეთის ნაპირებთან), საიდანაც ჰოუელი მოგზაურობას დაიწყებს.

სურათზე: ბ. ჰოუელი თავის კატამარანთან.

2. ინგლისში შეიქმნა საჰაერო ბალიშით მომუშავე მანქანის ახალი მოდელი — „ტრაიდენტი“. მანქანა, რომელიც მოზარდებისთვისაა გათვალისწინებული, იოლი სამართავია, საიმედოა და საათში 15 კილომეტრს ავითარებს. მისი წონა 50 კილოგრამია, სიგრძე — 2 მეტრი. „ტრაიდენტი“ ორ საათში ერთ ლიტრ ბენზინს ხარჯავს.

სურათზე: ახალი მანქანა „ტრაიდენტი“.

3. ინგლისელმა კონსტრუქტორმა კ. უოლისმა შექმნა ახალი სარბოლი მანქანა ტურბინიანი ძრავებით. კალიფორნიაში, გამოცდის დროს, მანქანამ საათში 330 კმ-ზე დიდი სისწრაფე განავითარა. კონსტრუქტორი გვარწმუნებს, რომ ეს სისწრაფე ზღვარი სულაც არ გახლავთ.

სურათზე: კ. უოლისი თავის მანქანასთან.

ფოტო აპ.-ისა.

ოლიმპიური ფსოფლი

თბილისტიროლა „ბურევესტნიკის“ რევანში

სვერდლოვსკი, 14 აპრილი. თბილისის „ბურევესტნიკმა“ აქ ორი მატჩი გამართა ადგილობრივ „ურალმაშთან“. სტუმრები შაბათს დამარცხდნენ (61:63), ხოლო დღეს რევანში აიღეს — 61:53.

კიევი, 14 აპრილი. ადგილობრივმა „სტროიტელმა“ წააგო მატჩი ტარტუს „კალევთან“ — 49:55.

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

თვალსა და ხელს შუა...

მოსკოვი. ცსკა-ს სპორტდარბაზი. 14 აპრილი.

ცსკა — „დინამო“ (თბილისი) 71:63 (28:28).

ცსკა: კულკოვი (6), ასტახოვი (4), სელიხოვი (6), ნესტეროვი (14), კაპრანოვი (14), ტრავინი (14), კოვირკინი (6), კოვალიოვი (2), მედვედევი (1), ბოროდინი (4).

„დინამო“: ლეფავა (18), უგრეხელიძე (10), ქორქია (14), ალთაბაევი (14), ნარიმანიძე (7), ქარაბაკი.

მსაჯები: გ. მუხამედიანოვი (ყაზანი), ა. კუუსკვერე (ტალინი).

5 წუთი არ იყო გასული მატჩის დაწყებიდან, არმიელთა ცენტრალური თავდამსხმელი ნესტეროვი რომ უკვე მეოთხედ დაჯარიმდა. კიდევ 3 წუთის შემდეგ მწვრთნელმა ე. ალექსეევმა იგი კოვირკინით შეცვალა. ოდნავ მოგვიანებით, გამთამაშებელთა ერთმა წყვილმა (კულკოვი, ასტახოვი) ადგილი დაუთმო მეორეს (ტრავინი, სელიხოვი). შემდეგ კოვირკინს მოუხდა „საქმეების გადაბარება“, ვინაიდან იგიც სულ მალე დაადგა თავისი წინამორბედის ეკლიან გზას (კოვირკინი ბოროდინმა შეცვალა).

როგორც ხედავთ, არმიელებმა მაქსიმალურად გამოიყენეს მოთამაშეთა შეცვლის უფლებანი და რეზერვი, ფაქტიურად, პირველ ტაიმშივე გამოცადეს. ასეთ მანევრს მწვრთნელები, როგორც წესი, საგანგებო შემთხვევაში მიმართავენ - და იგი მეტწილად არც ისე ტკბილი ცხოვრებითაა ნაკარნახევი. არმიელებს უფრო სპასუხისმგებლო მატჩი წლეულს აღარ ექნებათ და, ცხადია, მათ ყველაფერი იღონეს, ეს ამოცანა წარმატებით რომ გადაეწყვიტათ.

დინამოელთა ტაქტიკა ამ მხრივ უფრო მარტივი გახლდათ: 5 ძირითადი მოთამაშე და ერთიც სათადარიგო (ქარაბაკი ყველა ადგილზე). ცხადია, მწვრთნელს ლ. ინწკირველს კონკრეტული გეგმა ჰქონდა, როცა ძირითადი ხუთეულის პრინციპს იცავდა. ეს ტაქტიკა ალბათ, გაპრართლებული იყო, რადგან ძველ სპორტულ მეტოქეთა ამ პრინციპულ დაპაში გადაეწყვეტი როლი მაინც გამოცდილებას უნდა ეთამაშა.

ერთი სიტყვით, შეხვედრის პირველივე წუთებმა ცხადყო, რომ ლამაზ კალათბურთს ვერ ვიხილავდით: გამარჯვების ბედი სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადების დონეს — ნერვების სიმტკიცეს უნდა გადაეწყვიტა. ამ მხრივ მეტოქეები საკმაოდ თანაბარძალოვანი აღმოჩნდნენ, რამაც, სხვათა შორის, პირველი ტაიმის საყაიმო ანგარიშშიც იჩინა თავი.

ნერვულმა ფაქტორმა პირველ ყოვლისა განაპირობა უზუსტო გადაცემათა საკმაოდ მაღალი პროცენტი, რაც, თავის მხრივ ყველა სხვა შეცდომის მიზეზი გახლდათ. მაგრამ ყველაზე უფრო საგულისხმო ის იყო, რომ იმავე ნერვიულობამ მინიმუმამდე დაიყვანა სროლის ეფექტურობა ორივე გუნდში. შესვენებამდე ფაქტიურად არც ერთი სხაიპერული სროლა არ ყოფილა შორიდან. მხოლოდ ორჯერ თუ სამჯერ მოახვედრეს მიზანს ტრავინმა და კოვირკინმა, ისიც საშუალო დისტანციიდან, დინამოელებმა კი თითქმის ყველა ქულა ფარქვეშ მწვავე ბრძოლის შემდეგ აიღეს. სწორედ ამიტომ პირველ ტაიმში სხვებზე მეტად შედეგიანნი იყვნენ ლეფავა (11 ქულა) და ქორქია (8). ჩვენმა სხაიპერებმა უგრეხელიძემ და ალთაბაევმა რამდენიმე უხეირო ცდის შემდეგ შორიდან სროლაზე საერთოდ ხელი აიღეს.

და მაინც, პირველი ტაიმის მიხედვით გამარჯვება დინამოელებს უნდა დარჩენოდათ, ვინაიდან მეტოქეთა ტრადიციული უპირატესობა სროლასა და შეტევის სისწრაფეში მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

შესვენების შემდეგ გუნდებს ერთხანს კიდევ გამოჰყვათ პირველი ნახევრის ჰიპნოზი, რომელსაც არმიელებმა უფრო ადრე დააღწიეს თავი. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით კაპრანოვსა და მოედანზე დაბრუნებულ ნესტეროვს. არმიელები დაწინაურდნენ და სტუმრებს მდევრების უსიამოვნო მისია დაულოცეს. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დინამოელები, მიიღეს რა კონკრეტული სამოქმედო გეგმა — „დავეწიოთ და გავუსწროთ“ — გაცილებით მწვავედ და ენერგიულად ამოქმედდნენ. თამაში გამოცოცხლდა, სროლებს სიზუსტემაც იჩინა თავი და გადაცემათა ეფექტურობამაც.

რაც შემდეგ მოხდა, ეს ნაწილობრივ უიღბლობას უნდა მიეწეროს. თბილისელებმა გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც და როცა ამოცანა უკვე შესრულებული გვეგონა, ერთმა გადაცემამ დაკარგა, მეორემ ფარქვეშ მარტოდმარტო მყოფმა წაიბორძიკა, ერთსელ თუ ორჯერ ზუსტად ნასროლმა ბურთმა კალათის კიდეზე იტრიალა ამაოდ. და თითქოს განგებ, არმიელებმა სტუმრებს ყველა შეცდომა 2 ქულად აქციეს! ცსკა წინ აღმოჩნდა.

დარჩა ერთადერთი გამოსავალი: ჯარიმების მოლება ან ანგარიშით, რომ მეტოქე ვერ გამოიყენებდა მას. მაგრამ ცსკა შეცდომებს დასაშვებად უკვე აღარ იყო განწყობილი. მან მშვიდად და აუღელვებლად მიიღო ყველა საჩუქარი და 8ე-40 წუთის მიწურულში სხვაობა 8 ქულამდე აიყვანა. თბილისელებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ უფრო საპატიო ანგარიშით წაგება („ძალად ჯარიმები“ რომ არ ეკეთებინათ), მაგრამ ამას აბა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, როცა წარმატება თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ნ. გუგუშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბილისი)	39	27	12	2889—2704	27
ასკ (კიევი)	41	27	14	2866—2698	27
ცსკა	41	26	15	2715—2565	26
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	38	24	14	2753—2661	24
„სტროიტელი“ (კიევი)	41	23	18	2678—2630	23
„კალევი“ (ტარტუ)	41	21	20	2713—2641	21
ვეფ (რიგა)	38	19	19	2653—2656	19
ასკ (რიგა)	42	19	23	3065—3064	19
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	39	19	20	2586—2532	19
„ძალგირისი“ (კაუნასი)	36	18	18	2520—2486	18
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	42	9	33	2857—3231	9
„ბურევესტნიკი“ (ბაკო)	40	8	32	2968—3416	8

ბრინჯაოს პრიზიორიც ცნობილია

კაუნასი, 14 აპრილი. ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელმა ქალებმა დაამარცხეს ნოვოსიბირსკის „დინამო“—57:46 (34:25) და სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონენ. ლენინგრადელებმა 14 ქულა მოაგროვეს, იმდენივე, რამდენიც ვილნიუსის „კიბირკშტისმა“, მაგრამ ამ უკანასკნელმა ორივე შეხვედრა წააგო სტუდენტებთან.

ამრიგად, 35-ე ჩემპიონატში ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. ტტტ (რიგა), 2. „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი), 3. „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი), 4. „კიბირკშტისი“ (ვილნიუსი), 5. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), 6. „დინამო“ (მოსკოვი), 7. სპი (თბილისი), 8. „დინამო“ (ნოვოსიბირსკი), 9. ასკ (ლენინგრადი), 10. „დინამო“ (კიევი), 11. „პოლიტექნიკა“ (კაუნასი), 12. „ტექსტილმაში“ (ტაშკენტი).

ბოლო ორი გუნდი გაისად უმაღლეს ლიგას დატოვებს.

მცველთა შეცდომების შედეგად

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 14 აპრილი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 3:4 (2:3).

ქუთაისი: კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, წვერავა (ციოანავა), ერქომაიშვილი, ზარია, ხერხეაძე, ვეკუა, ასიტაშვილი.

მოსკოვი: კავაზაშვილი, ჩუმაკოვი, პახომოვი, იანეცი, ვორონინი, შუსტიკოვი, ლენიოვი, სტრელცოვი, შალიმოვი, პაისი, სავჩენკო (სოლდატოვი).

მსაჯი მ. ამბარცუმიანი (ერევანი).

დუბლიორები — 1:1.

ქუთაისისა და მოსკოვის ტორპედოელთა შეხვედრები, როგორც წესი, მუდამ სინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობს. თანაკლუპელები ერთმანეთთან მუდამ აზარტულად და მონდომებით თამაშობენ და ქუთაისელებს არაერთხელ მიუღწევიათ წარმატებისთვის ამ ძლიერ გუნდთან მატჩებში.

თამაში ამჯერადაც საინტერესო გამოდგა, მაგრამ გოლების სიუხვე უპირველესად ყოვლისა უნდა ავხსნათ არა იმდენად თავდამსხმელთა ოსტატობით, რამდენადაც დაცვაში დაშვებული შეცდომებით და ნაწვიმარი, „დამძიმებული“ მინდვრით.

ნათქვამის საილუსტრაციოდ აღვწერთ ორტანილ ბურთებს. ანგარიში გაიხსნა ასეთ სიტუაციაში: ვორონინმა მე-9 წუთზე უკან მიაწოდა სტრელცოვს. მან ძლიერად დაარტყა და ბურთი უკუაგდო ბელმა. ქუთაისელთა დაცვამ „მხედველობიდან გამორჩა“ საჯარიმო მოედანზე სრულიად უყურადღებოდ დატოვებული სავრენკო. ამ უკანასკნელმა, რასაკვირველია, არ დააყოვნა ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება—1:0.

ასეთივე მოულოდნელი იყო საპასუხო ბურთი. მე-14 წუთზე ლოსაბერიძემ მიაწოდა ვეკუას. კარის ცალი კუთხე მცველებით აღმოჩნდა დაფარული და კავაზაშვილი ვერ ხედავდა ბურთს, რომელიც სწორედ იქით გაგზავნა ვეკუამ. მეკარეს სველ მინდორზე დაუცდა ფეხი და ვერ მიწვდა ბურთს — 1:1.

22-ე წუთზე სტრელცოვისა და ვორონინის მიერ გათამაშებული კარგი კომბინაციის შემდეგ ვორონინმა როგორლაც მოუხერხებლად, უხეიროდ დაარტყა კარში. კვასხვაძემ ვერ შეძლო ბურთის აღება.

ნამდვილი ბურთი, რომელმაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, გაიტანა სტრელცოვმა 30-ე წუთზე. ჩაწ შორიდან წამოიწყო რეიდი და თუმცა ლიძემ და ალთაბაევმა რამდენიმე უხეირო ცდის შემდეგ შორიდან სროლაზე საერთოდ ხელი აიღეს.

და მაინც, პირველი ტაიმის მიხედვით გამარჯვება დინამოელებს უნდა დარჩენოდათ, ვინაიდან მეტოქეთა ტრადიციული უპირატესობა სროლასა და შეტევის სისწრაფეში მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

შესვენების შემდეგ გუნდებს ერთხანს კიდევ გამოჰყვათ პირველი ნახევრის ჰიპნოზი, რომელსაც არმიელებმა უფრო ადრე დააღწიეს თავი. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით კაპრანოვსა და მოედანზე დაბრუნებულ ნესტეროვს. არმიელები დაწინაურდნენ და სტუმრებს მდევრების უსიამოვნო მისია დაულოცეს. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ დინამოელები, მიიღეს რა კონკრეტული სამოქმედო გეგმა — „დავეწიოთ და გავუსწროთ“ — გაცილებით მწვავედ და ენერგიულად ამოქმედდნენ. თამაში გამოცოცხლდა, სროლებს სიზუსტემაც იჩინა თავი და გადაცემათა ეფექტურობამაც.

3:1 უკვე საკმაო გარანტიას უქმნიდა მოსკოველებს გამარჯვებისთვის. მაგრამ ქუთაისელებს მაინც არ დაუყრიათ ფარ-ხმალი. მართალია, გუნდის თამაშში საკმაოდ იყო წუნი, არ ვარგოდა გადაცემები, თავდასხმა მოქმედებდა მცირე ძალებით, ნახევარმცველები (განსაკუთრებით, ერქომაიშვილი) სისტემატურად მეტოქეს აბარებდნენ ბურთს, მატჩი მაინც არ იყო უიმედო.

მართლაც, ტაიმის ბოლო წუთზე მოსკოველთა კართან შექმნილი დაბახსნა მომენტისას, როცა მათი ორი მცველი მიწაზე იწვა, ხოლო კავაზაშვილი მხად არ იყო ბურთის ასაღებად, ვეკუამ შეძლო განსხვავების შემცირება — 2:3.

შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა წივწივაძე ფეხდაფეხ მისდევდა, აუჩქარებლად, დარწმუნებულად ითამაშა და ზუსტად გაგზავნა ბურთი იმ კუთხეში, სადაც მას კვასხვაძე არ მოელოდა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში



ახალი ენერგიით შეუტიეს მეტოქეს და 54-ე წუთზე ზარიამ ხერხეაძის გადაცემიდან ეფექტური თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი მოსკოველთა კარში. ანგარიში გათანაბრდა — 3:3.

დასასრული იყო გოლი, რომელმაც მატჩის დასასრულს გადაწყვეტა შეხვედრის ბედი. აქაც შეცდომა იქნა დაშვებული. კვასხვაძემ ხელიდან გაუშვა პაისის დარტყმული ბურთი, იგი ცუდად მოიგერიეს მცველებმა და ჩუმაკოვმა მოასწრო კარში დარტყმა. კვასხვაძის მაგივრად ხაზზე იდგა ებრალიძე. იგი შეეცადა ბურთის მოგერიებას, მაგრამ ვერ მიწვდა მას.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

XX საოლქო...

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში ბათუმის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა აჭარის მოსწავლეთა XX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობასა და მაგიდის ჩოგბურთში.

გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა ბათუმის მოჭიდავეთა ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ ბათუმის რაიონის, III — შუახევის რაიონის წარმომადგენლები.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. გოგუაძე, გ. კუნჭულია, თ. სალუქვაძე (ყველანი — ბათუმი), ა. ევგენიძე, ო. ომეროვი (ორივე — ბათუმის რაიონი), ნ. ჭანტურია, ა. ეორეოლიანი, ბ. ხუხდაძე, ს. შელქონიანი, ე. ჯორტმანიძე (ყველანი — ბათუმი).

მაგიდის ჩოგბურთში გუნდური გამარჯვება ბათუმის ნაკრებმა იზეიმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ქობულეთისა და ბათუმის რაიონების გუნდები.

პირად შეჯიბრებაში გოგონათა შორის ჩემპიონობა მოიპოვა ბათუმის მე-10 სკოლის მეშვიდეკლასელმა გ. ლევინამ, ხოლო ჭაბუკთა შორის ამავე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ ე. სარხოიანმა (სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის ს. სარხოიანის ძმამ).

გოგონათა წყვილების შეჯიბრება მოიგეს გ. ლევინამ და ლ. კაპლანიანმა, ჭაბუკებისა — ე. სარხოიანმა და კ. პასტიანიდიმ (ყველა — ბათუმი). შერეულ წყვილებში უძლიერესნი იყვნენ გ. ლევინა და ე. სარხოიანი.

ო. ბურკანიძე.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ახალი ამბები

● **ალმა-ათა**, 14 აპრილი. აქაურ ძალოსანთა შეჯიბრებაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა ქვემსუბუქი წონის ათლეტმა ს. ულიანოვმა. მან 127,5 კგ აპიმა და 1 კილოგრამით დაამძიმა სამი წლის წინათ მის მიერვე ნაჩვენები რეკორდი.

● **მოსკოვი**, 14 აპრილი. დღეს გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი ჰოკეიში. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და ლენინგრადის ასკ. გაიმარჯვეს მოსკოველებმა (7:1), რომლებმაც მეშვიდედ მოიპოვეს ეს საპატიო პრიზი.

● **მოსკოვი**, 14 აპრილი. დღეს აქ გაიმართა ფრენბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი ადგილობრივ ცსკა-სა და ბუქარესტის „დინამოს“ ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0 (15:10, 15:6, 15:12). საპასუხო მატჩი შედგება 25 აპრილს ბუქარესტში.

● **როსტოვი**, 14 აპრილი ბასულ შაბათს აქ შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა არმიელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ბულგარეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი — „ცსკა-ჩერვენო ზნამია“. გოლები გაიტანეს მატვეევმა და ანფიმიადიმ.

● **ბუდაპეშტი**, 15 აპრილი. „შესანიშნავი გამოსვლა“, — ასე შეაფასა შვეიცარიული გაზეთის „სიუისის“ სპორტულმა მიმომხილველმა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ოსტატობა, რომლებმაც ანგარიშით 569,70:560,30 მოუგეს მატჩი მასპინძელთა ნაკრებს. ადგილობრივ „ფუსტაქალეში“ მოსულმა 4 ათასმა მაყურებელმა იხილა ბრწყინვალე „ტანვარჯიშული კონცერტი“, რომელშიც უზადო ხელოვნება გამოავლინეს გამოცდილმა დიომიდოვმა და ლისიცკიმ, აგრეთვე, ახალგაზრდა, ტალანტიანმა სპორტსმენებმა კლიმენკომ, კუდრიავცევმა, ილინიხმა და კოშევემ. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა დიომიდოვმა — 116,10 ქულა. II ადგილზეა ლისიცკი — 114,85. განუზომელი ინტერესი გამოიწვია მსოფლიო ჩემპიონის ვორონინის საჩვენებელმა გამოსვლამ ორძელსა და ტაიჭზე.

● **ვენა**, 15 აპრილი. სსრ კავშირის ბადმინტონისტთა ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, კიეველმა სტუდენტმა, 20 წლის ვიქტორ შვაჩკომ თავის გუნდს ერთადერთი ქულა შეამინა მის პირველ უცხოურ შეხვედრაში — ავსტრიის ნაკრებთან. ანგარიშით 2:0 მან დაამარცხა კირჰგოფერი. მატჩი კი დიდი ანგარიშით (7:1) მოიგეს გამოცდილმა ავსტრიელებმა, რომელთაც V ადგილი უკავიათ ევროპაში. შემდეგ შეხვედრას საბჭოთა ბადმინტონისტები ვინერ-ნოიშტადტში გამართავენ ქვემო ავსტრიის გუნდთან.

ვეტერანის ორმაგი გამარჯვება

სოჩი, 15 აპრილი. ამ საკურორტო ქალაქის გზებზე მიმდინარე საკავშირო ველორბოლის II ეტაპზე ორმაგი გამარჯვება იზეიმა ვეტერანმა გ. საიდხუჟინმა (სოჩი). გაფაფულებელ წვიმასა და სქელ ნისლში მან 135 კმ 3 საათში, 42 წუთსა და 4,6 წამში დაფარა. გარდა ამისა, საიდხუჟინმა საშუალოდო ფინიშებზე აქტიურობისთვის დაწესებული პრიზებიც მოიხვეჭა: სამიდან ორ ფინიშზე პირველი იყო, ხოლო ერთზე — მეორე.

დღეანდელ რბოლაში II ადგილი დაიკავა ტაშკენტელმა ი. პომინოვმა— 3:42.44. III ადგილზეა ე. სავინი (მოსკოვის ოლქი), IV — ს. შეპელი (დუშანბე).

რბოლა 9-კილომეტრიან წრეზე მიმდინარეობდა. სპორტსმენებს წრე 15-ჯერ უნდა გავლოთ. ტრასა უაღრესად რთული იყო: მოასპარეზეთ წინ ჭერდათ დიდი დაღმართები, მკვეთრი მოსახვევები და გრძელი აღმართები. 27 კაციდან, ვინც II ეტაპის სტარტი აიღო, ფინიშის ხაზი მხოლოდ 17-მა გადაკვეთა, თანაც, დიდი ჯგუფი ლიდერებს წრითა და მეტით ჩამორჩა.

სამწუხაროდ, ხვალ, III ეტაპის სტარტზე ვერ ვიხილავთ საიდხუჟინს, პირველ ეტაპზე გამარჯვებულ ბ. კულიბინს, აგრეთვე, ვ. ურბანოვიჩს. ეს სამეული საბჭოთა ველოფეხბურთელების გუნდის შემადგენლობაში იტალიას მიემგზავრება, სადაც იქაური კოშუნისტების გაზეთ „უნიტას“ მიერ დაწესებული პრიზის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

„იომიური“ ქალაქებში

... ...